



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №7

2015 წლის 31 მარტი

ქ. ნინოწმინდა

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს №21
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აგვისტოს №21 დადგენილებაში შეტანილ ოქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ მუხლი:

„მუხლი 2¹. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სიმბოლოების გამოყენება.

1. გამგეობას აქვს მუნიციპალიტეტის გერბით და საკუთარი დასახელებით შედგენილი ბეჭედი, შტამპი და ტიტულიანი ფურცელი.

2. გამგეობის ცალკეული უფლებამოსილების განხორციელებისათვის და მისი თანხმობით თანამდებობის პირებს ეძლევათ უფლება გამოიყენონ საქმისწარმოებაში ბეჭედი, შტამპი და ტიტულიანი ფურცელი.

3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის თავზე აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის დროშა.

4. მუნიციპალიტეტის გამგეობა სიმბოლოების გამოყენების დროს ხელმძღვანელობს „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ და „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონების და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით.“

2. დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. დ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგეობის მოსამსახურეებს.“

3. დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ. 8“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ბ) საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: კერძო სამართლის არასამეწარმო (არაკომერციული) და სამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, სამეწარმო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრიანების შესახებ. მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ, სამეწარმეო იურიდიული პირის წილის აქციების შეძენის შესახებ, სამსახურში ნიშნავს და ათავისუფლებს კერძო სამართლის არასამეწარმო (არაკომერციული) და სამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს“.

4. დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური“.

5. დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. დებულების მე-12 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) უზრუნველვოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება“.

7. დებულების მე-12 მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



სუმბატ კიურელიანი